



საგრანტო კონკურსი: ახალი გამოწვევები - ახალი შესაძლებლობები

გამოქვეყნების თარიღი: 2020 წლის 28 მარტი
წარდგენის ბოლო ვადა: 2020 წლის 6 აპრილი

ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ეს წალკა“ ფარგლებში, CENN, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) და წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან თანამშრომლობით აცხადებს კონკურსს: „ახალი გამოწვევები - ახალი შესაძლებლობები“, რომელიც მიზნად ისახავს სწრაფი რეაგირება მოახდინოს და უპასუხოს იმ ახალ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დადგა საქართველო კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული “COVID-19” პანდემიის შედეგად.

საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავს ისეთი ინიციატივების მხარდაჭრას, რომლებიც ორიენტირებული იქნება შემდეგ მიმართულებებზე:

- ონლაინ ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა
- საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის ვირუსთან დაკავშირებით უსაფრთხოების წესებთან მიმართებაში
- მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა
- სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
- ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა

ინიციატივები უნდა იყოს მიმართული წალკის მუნიციპალიტეტზე.

ეს წალკა პროექტის მიერ გაცემული ერთი გრანტის მაქსიმალური თანხა შეადგენს **3,000 ევროს ექვივალენტს ლარში**.

გრანტის ხანგრძლივობა მოცემული შეთავაზების ფარგლებში არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს

ვის შეუძლია განაცხადის წარმოდგენა

განაცხადების წარმოდგენა შეუძლია საქართველოში მოქმედ შემდეგ ერთეულებს:

- საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, მათ შორის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის საინიციატივო ჯგუფები
- კოოპერატივები
- ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები

აპლიკანტებს აქვთ უფლება წარადგინონ მხოლოდ ერთი განაცხადი.

ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ



საგრანტო განაცხადის შემუშავებისას გამოსაყენებელი შაბლონები მოცემულია დანართებში:

- დანართი 1. საგრანტო განაცხადის სააპლიკაციო ფორმა
- დანართი 2. საგრანტო განაცხადის სამოქმედო გეგმა
- დანართი 3. საგრანტო განაცხადის ბიუჯეტი

აპლიკანტებმა მოცემული ფორმატით უნდა წარმოადგინონ თავიანთი შემოთავაზება.

განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შესაფასებელი კატეგორია	რეიტინგი (ქულები)
განაცხადის მიზანშეწონილობა და შესაბამისობა საგრანტო კონკურსის მიზნებთან	30
გავლენა სამიზნე ჯგუფებზე და ბენეფიციარებზე	25
მოსალოდნელი შედეგები	20
ბიუჯეტის ეფექტიანობა	10
მენეჯერული და პროგრამული შესაძლებლობები (იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ გრანტის მადიებული შეძლებს განახორციელოს შემოთავაზებული აქტივობები)	10
გენდერული ბალანსი (ის, თუ რამდენად არის დაცული ან რა იგეგმება გენდერული ბალანსის დაცვა გრანტის განხორციელებისას)	5

ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ

საგრანტო განაცხადის ჩაბარება უნდა მოხდეს ქართულ ენაზე.

განაცხადის (სააპლიკაციო ფორმა, სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი) ჩაბარება უნდა მოხდეს ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: vacancy@cenn.org. გამოგზავნისას სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს საგრანტო კონკურსის დასახელება - საგრანტო კონკურსი: ახალი გამოწვევები - ახალი შესაძლებლობები (წალკა).

განაცხადების ჩაბარება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 6 აპრილის 18:00 სთ. დაგვიანებული ან შეუსაბამო განაცხადები არ განიხილება.

წინამდებარე საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაუკავშირდეთ ნინო თევზაძეს: nino.tevzadze@cenn.org;